

**უქველესი ქართული სამგალობლო ნიშნების
ინტერპრეტაციის შესაძლებლობა XIX ს. სანოტო
ხელნაწერების მიხედვით**

X საუკუნის ქართული სამგალობლო ნიშნების (ნევმების) გაშიფრვა ჯერ-ჯერობით ამოუხსნელ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ საკითხს ეძღვნება. X ს. ორ ძეგლში, მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ (გვახარია, 1989) და „ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი“-ში (კიკნაძე, 1982) არსებული საერთო საგალობლების ერთმანეთთან შედარებამ და მათი XIX საუკუნის სანოტო ხელნაწერებში დაფიქსირებულ ანალოგებთან შეთავსების მცდელობამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა ზოგიერთი დასკვნა, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ამ საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის.

ტერმინოლოგია

მიქაელ მოდრეკილის სახელი დღეს კარგადაა ცნობილი, რასაც ვერ ვიტყვით „ძლისპირნი და ღვთისმშობლისანის“ ავტორებზე. ამ ძეგლს ორი ავტორი ჰყავს: იორდანე და ივანე. პარალელური მუხლები ვუნოდოთ ერთი და იმავე საგალობლის რომელიმე მუხლის ორ ვერსიას, ერთი მხრივ, მოდრეკილის, ხოლო, მეორე მხრივ, იორდანე-ივანეს მიხედვით. პარალელური მუხლების წყვილს „შემთხვევა“ დავარქვათ. მაგალითებს შემდეგი ფორმატით მოვიყვანთ:

ყრმათა ღვთისმსახურთა (მ. 2)

არა მსახურეს ხატსა ოქროსასა (გვახარია, 1989:40)

არა მსახურეს ხატსა ოქროსასა (კიკნაძე, 1982:774)

განმარტება: პირველ რიგში ვუთითებთ საგალობლის სათაურს. ფრჩხილში მოთავსებული „მ. 2“ აღნიშნავს მუხლის ნომერს. ამას მოსდევს მუხლის ტექსტი ნევმირებითურთ ჯერ მოდრეკილის, ხოლო შემდეგ იორდანე-ივანეს მიხედვით.

მარცვალს, რომელზეც არანაირი სამგალობლო ნიშანი არაა დასმული, „თავისუფალი“ ვუნოდოთ. სამგალობლო ნიშნების ნებისმიერ მიმდევრობას ფიგურა ვუნოდოთ. მაგალითად, ფიგურაა.

შემთხვევების კლასიფიკაცია

პარალელური მუხლების ერთმანეთთან შედარების შედეგად შემთხვევები ბუნებრივად დაიყო რამდენიმე კატეგორიად. გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს და მოვიყვანთ თითო მაგალითს.

1. კატეგორია „იდენტურები“:

რომელმან თავს იდვა ჭირი (მ. 2)

ჭირი იგი ზღვისაი მის (გვახარია, 1989:5)

ჭირი იგი ზღვისაი მის (კიკნაძე, 1982:176)

2. კატეგორია „მომცველები“:

უგალობდით ყოველნი რომელმან (მ. 2)
რომელმან მწარისაგან (გვახარია, 1989:4)
რომელმან მწარისაგან (კიკნაძე, 1982:128)

3. კატეგორია „შემავსებლები“:

ცუდ იქმნა (მ. 1)
ცუდ იქმნა სიმხურვალე (გვახარია, 1989:5)
ცუდ იქმნა სიმხურვალე (კიკნაძე, 1982:176)

4. კატეგორია „ნანაცვლებულები“:

შენდა აღვიმსთობთ (მ. 3)
განანათლე სული ჩემი (გვახარია, 1989:23)
განანათლე სული ჩემი (კიკნაძე, 1982:636)

სხვა, უფრო რთული კატეგორიების დახასიათებას აღარ შევეუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ აგრეთვე ადგილი აქვს ზემოთ აღწერილი შემთხვევების სხვადასხვაგვარ კომბინაციებს (იხ. სანიმუშო მაგალითი „ყრმა-თა ღვთისმსახურთა (მ. 2)“).

ჩვენ შეგვეძლო გაცილებით მეტი მაგალითის მოყვანა ყოველი კატეგორიისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მიქაელ მოდრეკილს და იორდანეს (ან ივანეს) ერთი და იგივე საგალობლები (მუხლები) ძირითადად სხვადასხვანაირად აქვთ ნევემირებული. ახლა კი ყურადღებას შევაჩერებთ კატეგორიაზე „ნანაცვლებულები“: იგი ჩვენთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს.

მთავარი დასკვნა

კატეგორიებს „ნანაცვლებულები“ და „იდენტურები“ ერთი საერთო ნიშან-თვისება აერთიანებს: ორივე მათგანი შეიცავს ისეთ შემთხვევებს, სადაც პარალელურ მუხლებზე ერთი და იგივე ფიგურაა დადებული. ფიგურების იგივეობა, ცხადია, მელოდის იგვევობაზე მიგვანიშნებს.

რა განასხვავებს „იდენტურებს“ „ნანაცვლებულებისაგან“? მხოლოდ პოზიციები, რომლებზეც დასმულია შესაბამისი ნიშნები. ნიშნების რაოდენობა და თანმიმდევრობა (ანუ ფიგურა) პარალელურ მუხლებში „იდენტურებსაც“ და „ნანაცვლებულებსაც“ ერთნაირი აქვთ. აი, ნანაცვლებულების კიდევ ორი მაგალითი:

გულისწყრომასა მძლავრისასა (მ. 7)
გალობით იტყოდეს სახიობასა (გვახარია, 1989:7)
გალობით იტყოდეს სახიობასა (კიკნაძე, 1982:184)
ნათლისა მომცემელი (მ. 3)
შენ გიგალობთ ღამითგან აღმსთობილთა (გვახარია, 1989:23)
შენ გიგალობთ ღამითგან აღმსთობილთა (კიკნაძე, 1982:638)

მელოდიას განსაზღვრავს ფიგურა და რამდენადაც „ნანაცვლებულებს“, „იდენტურების“ მსგავსად, ერთნაირი ფიგურები ადევს, ამიტომ აქაც ავტორები ერთსა და იმავე მელოდიას უნდა გულისხმობდნენ. ის ფაქტი, რომ ნანაცვლებულებში შესაბამისი ნიშნების პოზიციები განსხვავებულია, ასე შეიძლება განიმარტოს: მგალობელს ჰქონია უფლება თავისი შეხედულებისამებრ გაენაწილებინა საგალობლის ტექსტი მელოდიაზე. ეს გახლავთ დასკვნა, რომელსაც ჩვენ „მთავარს“ ვუნოდებთ და რომელსაც მრავალჯერ გამოვიყენებთ.

ნიშნების შესახებ

X ს. სამგალობლო ნიშნები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: მარცვალსზედა და მარცვალსქვედა ნიშნებად. არსებობს ხუთი ნიშანი, რომლებიც ადვილად განირჩევა დანარჩენებისაგან. ოთხი მათგანი მარცვალსზედაა. ესენია: და . მეხუთე მარცვალსქვედაა:

არის აგრეთვე მარცხნიდან მარჯვნივ და ქვევიდან ზევით მიმართული, დაკბილული, მარცვალსზედა ნიშნების ჯგუფი: . საეჭვოა, რომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს კბილების ზუსტ რაოდენობას, ვინაიდან ერთი შეხედვა ხშირად საკმარისი არ არის იმის აღსაქმელად, თუ ზუსტად რამდენკბილაა ნიშანი (საჭირო ხდება დათვლა). სამაგიეროდ ადვილად განირჩევა ორი ჯგუფი: მეჩხერები და ხშირები. ვფიქრობთ სწორედ ასეთი დაყოფა უნდა ვიგულისხმოთ ამ კლასის ნიშნებისათვის.

ზუსტად ანალოგიურია მდგომარეობა მარცვალსქვედა, მარცხნიდან მარჯვნივ და ზევიდან ქვევით მიმართულ, დაკბილულ ნიშნებში, ზემოთ აღნიშნულების სიმეტრიულები: . აქაც, ვფიქრობთ, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, ნიშანი ხშირკბილაა თუ მეჩხერი.

არსებობს კიდევ ერთი ჯგუფი: მარცვალსქვედა, ზევიდან ქვევით მიმართული და ოდნავ დახრილი სწორი ხაზები: . ისინიც, ზემოთ განხილულების ანალოგიურად, უნდა დავყოთ მოკლებად და გრძელებად. ამგვარად, სულ გვაქვს 11 სხვადასხვა ნიშანი.

მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში თავი მოვუყარეთ 140-მდე საგალობელს, რომელთაგან თითოეული გვაქვს სანოტო ხელნაწერის სახითაც და მოგვეპოვება ნეემირებული ვერსიაც. ამ საგალობლებში ზემოთ აღწერილი ნიშნები სხვადასხვა სიხშირით გვხვდება. მათი პროცენტული განაწილება მოცემულია გრაფიკში 1.

თავისუფალი მონაკვეთების შესახებ

ჩვენს მიერ დაწვრილებით იქნა განხილული 13 ძლისპირი. ამ საგალობლებში 85 მუხლია და სულ დასმულია 343 ნიშანი. დასკვნებს სამგალობლო ნიშნების მნიშვნელობების შესახებ ამ მასალის საფუძველზე გავაკეთებთ, თუმცა სანამ რაიმეს ვიტყვოდეთ საკუთრივ ნიშნებზე, შემოგთავაზებთ ზოგიერთ შენიშვნას მუხლის საწყისი თავისუფალი მარცვლების შესახებ. როგორ უნდა ეგალობათ ასეთი ადგილები? დავუშვათ, რომ აქ რაღაც არაერთგვაროვანი მელოდიური ხაზი იგულისხმება, მაშინ რატომ არ არის დასმული ნიშნები? ნუთუ მელოდია არ საჭიროებს არანაირ აღნიშვნას? ჩვენი აზრით, მუხლის საწყისი თავისუფალი მონაკვეთები უნდა ეგალობათ რაღაც ერთგვაროვანი მელოდიით, ისეთით, რომელიც არ საჭიროებს არანაირ აღნიშვნას, მინიშნებას. ასეთი მელოდია ერთადერთი შეიძლება იყოს: ერთი და იმავე სიმაღლისა და გრძლიობის ბგერების მიმდევრობა. საკმარისია, ერთ მათგანს მაინც აღმოაჩინდეს სხვა გრძლიობა ან სიმაღლე, რომ უკვე ჩნდება აღნიშვნის საჭიროება, ხოლო თუ ყველა ერთნაირია, აღნიშვნა საჭირო არ არის.

ხსენებული 85 მუხლიდან 18 თავისუფალი მონაკვეთით იწყება. 8 მათგანი-სათვის ეს ფაქტი დადასტურებას პოულობს სანოტო ანალოგებში. მაგალითად: საიდუმლო უცხო და დიდებული (მ. 1)

საიდუმლო (გვახარია, 1989:74;
ერქვანიძე, 2002:70)

რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ 18-დან 10 შემთხვევაში თავისუფალი სანყისი მარცვლების არსებობა არ დასტურდება სანოტო ანალოგებში?

შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი იმისა, რომ ერთი ავტორი მუხლს იწყებს თავისუფალი მარცვლებით, მაშინ როცა მეორე ავტორი პირველსავე მარცვალზე სვამს ნიშანს (იხილეთ, მაგალითად „გულისწყრომასა მძლავრისასა (მ. 7)“).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ვასკვნით შემდეგს: მაგლობელს უფლება ჰქონდა წარემძღვარებინა ნებისმიერი მუხლი ერთი სიმალისა და გრძლიობის ერთი ან რამდენიმე ბგერით და შემდეგ გადასულიყო მელოდიაზე. შეეძლო, აგრეთვე, პირველივე მარცვლიდან დაენყო მელოდია.

ნიშნების ინტერპრეტაცია

მეთოდი, რომელიც გამოვიყენეთ სამგალობლო ნიშნების მნიშვნელობებ-ის დასადგენად, იყო სანოტო ხელნაწერების პირველ ხმაში დაფიქსირებულ მელოდიებზე საგალობლის ტექსტის სხვაგვარი გადანაწილება (რის უფლებასაც მთავარი დასკვნა გვაძლევდა) საგალობლის ნევემირებულ ანალოგებთან შეთავსების მიზნით. ჩვენი მოსაზრებები წარმოვადგინეთ ცხრილში 1.

პირველ რიგში შევნიშნავთ, რომ ცხრილში მოცემული სამგალობლო ნიშნები (ჩვენი აზრით) მიუთითებს მხოლოდ მელოდიაზე, ისინი არაფერს გვეუბნება ტონალობაზე. მეორეც, ვგულისხმობთ, რომ საგალობლები ჩანერილია 4 გრძლიობის: მერვედის, მეოთხედის, ნახევრისა და მთელის მეშვეობით და მეოთხედი ძირითადი რიტმული ერთეულია. შევნიშნავთ, აგრეთვე, რომ ცხრილში არ ფიგურირებს ორი ნიშანი: და . პირველი იმიტომ, რომ იგი არ გვხვდება ხსენებულ 13 საგალობელში. მეორე ნიშანი კი ზოგადი დანიშნულები-საა. ჩვენ შევამჩნიეთ ორი ფუნქცია, რომელიც მას აკისრია: ერთ შემთხვევაში იგი აღნიშნავს ამა თუ იმ მელოდიური მოძრაობის დაწყებას (უფრო ხშირად ავაჯის შემდეგ), ხოლო სხვაგან გვიჩვენებს, რომ აღმასვლა უნდა შეიცვალოს დაღმასვლით და პირიქით.

გრაფიკი 2 შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სიხშირით გვხვდება ნევემები 13 ძლისპირში და როგორია მათი რეალური (ტექსტის ალტერნატიული გადანაწილების შედეგად) და შესაძლო (უმნიშვნელო ვარიანტების შედეგად) დადასტურების პროცენტულობა. ახლა მოვიყვანოთ ნიშნების დადასტურების რამდენიმე მაგალითი.

ვერ შემძლებელ ვართ (მ. 1) (კიკნაძე, 1982:240; ერქვანიძე, 2002:94)



აი ამ მუხლის მოდიფიკაცია, მიღებული მარცვლების გადანაწილებით, რომელიც სრულ თანხმოებაშია ნევმირებასთან (იხ. ცხრილი 1):

ყრმათა ღვთისმსახურთა (მ. 1) (გვახარია, 1989:40; კერესელიძე: 705)



მოდიფიკაციის შემდეგ:



წინასაუკუნეთა (მ. 1) (კიკნაძე, 1982:144; კარბელოვი, 1899:10)



ღმერთო მოხედენ (მ. 6) (კიკნაძე, 1989:144; შულღიაშვილი, 2002:52)



მოდიფიკაციის შემდეგ:



მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს, სადაც ნიშანი გვევლინება თავისი მეორე ფუნქციით:

ნინსასაუკუნეთა (მ. 3) (კიკნაძე, 1989:144; კარბელოვი, 1899:10)



მოდინიკაციის შემდეგ:

გრაფიკი 2-დან ჩანს, რომ ნიშნები 578abc დაბალი სიხშირით გვხვდება, ამიტომ მათი შესაბამისი პროცენტულობები სანდო არ არის. მეორე მხრივ, 2₃₄ ნიშნების სიხშირეები მაღალია და შესაბამისად, პროცენტულობა – სანდო, თუმცა საჭიროა გაცილებით მეტი შემთხვევის განხილვა, სანამ დანამდვილებით ვიტყვოდეთ, რომ ცხრილი 1 ასახავს X ს. რეალობას. ჯერ-ჯერობით შეგვიძლია განვაცხადოთ: მაღალი სიხშირის ნიშნების სანოტო ანალოგებში დადასტურების მაღალი პროცენტულობა სერიოზული განაცხადია იმისათვის, რომ ეს ნიშნები, სათანადო რაოდენობის შემთხვევების განხილვის შედეგად, ზუსტად ამ ინტერპრეტაციებით დადასტურდეს. საბედნიეროდ, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მოცულობა საკმარისია ამისათვის.

დასკვნა

უძველესი ქართული ნევმები სხვადასხვა დანიშნულების მქონე ორიენტირებია. მათი მეშვეობით ძველ მაგალობლებს ადვილად შეეძლოთ ასობით ძლისპირის კანონიკურ ჰანგებზე გალობა.

X ს. სრული მაგალობლები მიქაელ მოდრეკილი, იორდანე და ივანე, იცავენ რა კანონიკურ ჰანგს უცვლელად, ერთგვარ თავისუფლებას იჩენენ შემდეგში: ა) თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებენ საგალობლის ტექსტს მელოდიაზე; ბ) საგალობლის მუხლს თავისი შეხედულებისამებრ წარუმძღვარებენ ავაჯს (ან წართქმას) ერთი სიმალის ბგერებით. ამ მიგნებების საფუძველზე დადგინდა ნევმების სავარაუდო მნიშვნელობები, რომლებიც თითქმის ყველა მათგანისათვის მაღალი პროცენტულობით დადასტურდა XIX ს. სანოტო ანალოგებში. დიდი სიხშირის მქონე ნიშნების დადასტურების მაღალი პროცენტულობა და ჩვენს ხელთ არსებული მასალის მოცულობა (140 საგალობელი) იძლევა უძველესი ქართული სამგალობლო ნიშნების საბოლოო ინტერპრეტაციის იმედს ამ მასალის სრულად დამუშავების შემთხვევაში.

დამონმებული ლიტერატურა

გვახარია, ვაჟა. (1989). *მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
 ერქვანიძე, მალხაზ. (2002). *ქართული საეკლესიო გალობა*, ტ. 2, თბილისი: სრულიად საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული საეკლესიო გალობის ცენტრი.



კარბელოვი, პოლიევქტოს და მოლოდინოვი, ალექსანდრე. (1899). *საგალობელნი შობის დღესასწაულისა*. ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

კერესელიძე, ექვთიმე. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი Q 672.

კიკნაძე, გულნაზი. (1982). *ნეგმირებული ძლისპირნი*. თბილისი: მეცნიერება.

ქორიძე, ფილიმონ. (1901). *საგალობელნი პირველ შეწირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა*. ტფილისი: სტამბა მ. შარაძისა.

ქორიძე, ფილიმონ. (1911). *სადღესასწაულო საგალობელნი წირვისა*. ტფილისი: ელექტრომბეჭდავი სტამბა ა. კერესელიძისა.

შულღიაშვილი, დავით. (2002). *ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა*. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი.

ხუნდაძე, რაჟდენ. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. ხელნაწერი 2100.